<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 03.01.2014, სარეგისტრაციო კოდი: 310150000.05.001.017312) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-5 მუხლს დაემატოს 66[1] პუნქტი:**
   „66[1]. „საზოგადოებრივი ტრანსპორტი – ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოიყენება ადამიანების შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ ან/და კომერციული მოგების მიღების მიზნით გადასაყვანად.“.

2. **21-ე მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
   „9. „მძღოლი ვალდებულია მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (გარდა იმ სატრანსპორტო საშუალებისა, რომლის კონსტრუქცია არ ითვალისწინებს უსაფრთხოების ღვედებს) მართვისას დადგენილი წესით ისარგებლოს უსაფრთხოების ღვედით და უზრუნველყოს მისგან მარჯვენა ან მარცხენა მხარეს მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედით სარგებლობა. მძღოლი ვალდებულია 12 წლამდე და 135 სანტიმეტრამდე ბავშვის მსუბუქი ავტომობილის უკანა სავარძლით გადაყვანა უზრუნველყოს სპეციალური საბავშვო ეტლის, სავარძელის ან დამჭერი მოწყობილობის გამოყენებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის სიმაღლესა და წონას.“.

3. **26-ე მუხლის:**
   ა) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „7. 12 წლამდე და 135 სანტიმეტრამდე ბავშვის მსუბუქი ავტომობილის უკანა სავარძლით გადაყვანისას გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური საბავშვო ეტლი, სავარძელი ან დამჭერი მოწყობილობა, რომელიც შეესაბამება ბავშვის სიმაღლესა და წონას.

ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული სპეციალური საბავშვო ეტლის, სავარძლის ან დამჭერი მოწყობილობის მიმართ მოთხოვნები და მათი გამოყენების წესები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

გ) მე-9 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„შენიშვნა: ამ მუხლის მე-7 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, აგრეთვე იმ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელზეც ქარხანა-დამამზადებლის მიერ განსაზღვრული კონსტრუქცია არ ითვალისწინებს სპეციალური საბავშვო ეტლის, სავარძლის ან დამჭერი მოწყობილობის განთავსებას.“.

4. 63-ე მუხლს დაემატოს 1^2 პუნქტი:

„ 1^2. საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 1-ელ მარტამდე უზრუნველყოს ამ კანონის 26-ე მუხლის მე-8 პუნქტში მითითებული ნორმატიული აქტის მიღება.“.

მუხლი 2.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტისა, ამოქმედდეს 2020 წლის პირველი სექტემბრიდან.
2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *სალომე ზურაბიშვილი*